განკარგულება:**გ-49. 49241809**
თარიღი:**28/06/2024**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე ნატო მიქაძის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.33.035) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შეთანხმების შესახებ " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 სექტემბრის N36 132 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე N080310019003229037, 3/ბ-377-22წ), ამავე სასამართლოს 2024 წლის 1 მაისის განჩინების (საქმე 3/ბ-134-22წ), იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებლო ბიუროს 2024 წლის 21 ივნისის შეტყობინებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე ნატო მიქაძის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.33.035) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შეთანხმების შესახებ " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 სექტემბრის N36 132 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეთანხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე ნატო მიქაძის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.33.035) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნა (მოწყობა). აღნიშნული სასაფლაო განლაგდეს მონიკა არაქელიანის (პირ.ნომ. 60001108621)მიწის ნაკვეთიდან (საკ.კოდი 29.12.33.532)100 მეტრი რადიუსის მოშორებით".

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი